



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო



KA011765567037920

მისამართი: თბილისი 0114 ვახტანგ გორგასლის N22; www.napr.gov.ge;
ცხელი ხაზი: 2 405 405; 08 009 009 09

350575

28 / სექტემბერი / 2020 წ.

გადაწყვეტილება

ადმინისტრაციული საჩივრის წარმოებაში მიღების შესახებ

ადმინისტრაციული საჩივრის ნომერი: 372017/17; **თარიღი:** 24.09.2020 წ.

ადმინისტრაციული საჩივრის წარმომდგენი პირი: ჯემალ სურმანიძე (პირადი ნომერი 61006035294), ფატი სურმანიძე (პირადი ნომერი 61006042907) და არჩილ სურმანიძე (პირადი ნომერი 61006027272).

გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამომცემი სტრუქტურული ერთეული/ტერიტორიული სამსახური: სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ (შემდგომში - „საჯარო რეესტრი“) ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის რეგიონული რეგისტრაციის მართვის სამსახურის აჭარის რეგიონული ოფისი (შემდგომში - „აჭარის რეგიონული ოფისი“).

გასაჩივრებული გადაწყვეტილება: სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ № 882020387453-12 (14.09.2020) გადაწყვეტილება.

ადმინისტრაციული საჩივრის წარმომდგენი პირის მოთხოვნა: გასაჩივრებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და სარეგისტრაციო მოთხოვნის დაკმაყოფილება.

უძრავი ნივთის მისამართი: ქალაქი ბათუმი, იოანე ლაზის I შესახვევი, №26დ.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ პუნქტით დაინტერესებული მხარე განმარტებულია, როგორც ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, ადმინისტრაციული ორგანო, რომლებთან დაკავშირებითაც გამოცემულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, აგრეთვე რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება.

ამავე კოდექსის მე-13 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება აქვს განიხილოს და გადაწყვიტოს საკითხი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებულ მხარეს, რომლის უფლება ან კანონიერი ინტერესი იზღუდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, მიეცა საკუთარი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა, ხოლო მე-2 ნაწილის შესაბამისად, ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნულ პირს უნდა ეცნობოს ადმინისტრაციული წარმოების შესახებ და უზრუნველყოფილ იქნეს მისი მონაწილეობა საქმეში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩააბას დაინტერესებული მხარე მისი მოთხოვნის საფუძველზე, ხოლო კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში ვალდებულია უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.

№ 372017/17 ადმინისტრაციული საჩივრის შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ ის პასუხობს ადმინისტრაციული საჩივრის წარმოებაში მიღებისათვის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე, 182-ე, 195-ე მუხლებით გათვალისწინებულ ყველა პირობას და მისი განხილვის დამაბრკოლებელი გარემოება არ არსებობს.

„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების, სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის, რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ მარეგისტრირებული ორგანოს გადაწყვეტილების გასაჩივრება არ აჩერებს აღნიშნული გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოქმედებას.

საჯარო რეესტრმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე, 182-ე, 195-ე მუხლების შესაბამისად,

გადაწყვიტა:

1. მიღებულ იქნეს წარმობებაში ჯემალ სურმანიძის, ფატი სურმანიძის და არჩილ სურმანიძის 2020 წლის 24 სექტემბრის №372017/17 ადმინისტრაციული საჩივარი.

2. წინამდებარე ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაში დაინტერესებულ პირებად ჩართულ იქნენ ვალერი სურმანიძე (პირადი ნომერი 61606083852), ომარი სურმანიძე (პირადი ნომერი 61006032564) და ვეფხია სურმანიძე (პირადი ნომერი 61006068344).

3. ადმინისტრაციული საჩივრისა და მასზე თანდართული დოკუმენტების ასლები გადაეგზავნოს ვალერი სურმანიძეს (პირადი ნომერი 61606083852), ომარი სურმანიძეს (პირადი ნომერი 61006032564), ვეფხია სურმანიძეს (პირადი ნომერი 61006068344) და აჭარის რეგიონულ ოფისს.

4. დაინტერესებულ მხარეს განემართოს, რომ წარმობებაში არსებულ საკითხთან დაკავშირებით, უფლება აქვს, გადაწყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან 10 (ათი) კალენდარული ვადაში წარმოადგინოს წერილობითი მოსაზრებები, მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, გაეცნოს ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, ადმინისტრაციულ ორგანოსთან ურთიერთობა აწარმოოს წარმომადგენლის მეშვეობით, განაცხადოს აცილება და ისარგებლოს დაინტერესებული მხარის უფლებებით, რაც გათვალისწინებულია მიმდინარე კანონმდებლობით.


5. დაევალოს საჯარო რეესტრის ადმინისტრაციული უზრუნველყოფისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას წინამდებარე კორესპონდენციის საჯაროდ გამოცხადება ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილზე თბილისის იუსტიციის სახლში (მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. № 2) და საჯაროდ გამოცხადების შესახებ ინფორმაციის წერილობითი ფორმით წარმოდგენა.

6. წინამდებარე კორესპონდენცია ასევე საჯაროდ გამოცხადდეს საჯარო რეესტრის ოფიციალურ ვებგვერდზე: www.napr.gov.ge.

7. გადაწყვეტილება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

წინამდებარე ადმინისტრაციული აქტი ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი

ხელმოწერილია/
შტამგდასმულია
ელექტრონულად 

დავით დევიძე